



1. ნახაზზე მოყვანილი რომელი თერმომეტრები უჩვენებს ერთნაირ ტემპერატურას?

- ა) I და III ბ) I და IV
 გ) II და IV დ) III და IV



2. სითხიან მენზურაში ჩაუშვეს 5 ერთნაირი ბურთულა (იხ. ნახ.). თითოეული ბურთულას მასაა 5,6გ. რისი ტოლია თითოეული ბურთულას სიმკვრივე?

- ა) 0,9 გ/სმ³ ბ) 1,1 გ/სმ³
 გ) 2 გ/სმ³ დ) 4 გ/სმ³




3. ქვა აისროლეს ვერტიკალურად ზევით. როგორ იცვლება მისი აჩქარების სიდიდე ასროლიდან დაცემამდე? (ჰაერის წინააღმდეგობა უგულებელყავით)

- ა) ჯერ მცირდება, შემდეგ კი იზრდება. ბ) მუდამ იზრდება
 გ) მუდამ მცირდება დ) რჩება მუდმივი.

4. 6 ნ სიდიდის ძალა სხეულს ანიჭებს 3 მ/წმ² აჩქარებას. რა სიდიდის ძალა მიანიჭებს ამ სხეულს 2 მ/წმ² აჩქარებას?

- ა) 2 ნ ბ) 3 ნ გ) 4 ნ
 დ) პასუხის გასაცემად საჭიროა სხეულის მასის ცოდნა

5. სამი ერთნაირი საწონი დაკავშირებულია ერთმანეთთან უწონო და უჭიმვადი ძაფით და გადაკიდებულია უწონო ჭოჭონაქზე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. რისი ტოლია ტვირთების აჩქარება? (ხახუნის ძალები უგულებელყავით.)



- ა) $\frac{1}{3}g$ ბ) $\frac{1}{2}g$ გ) $\frac{2}{3}g$ დ) g

6. რამდენჯერ გაიზრდება სხეულის კინეტიკური ენერგია მისი იმპულსის ორჯერ გაზრდისას?

- ა) $\sqrt{2}$ -ჯერ ბ) 2-ჯერ გ) 4-ჯერ დ) პასუხი დამოკიდებულია სხეულის მასაზე


7. 1 კგ მასის ქვას ისვრიან ვერტიკალურად ზევით 4მ/წმ სიჩქარით. რისი ტოლი იქნება ქვის პოტენციური ენერგია, ათვლილი დედამიწის ზედაპირიდან, ტრაექტორიის უმაღლეს წერტილში? (ჰაერის წინააღმდეგობას ნუ გაითვალისწინებთ)

- ა) 1 ჯ ბ) 4 ჯ გ) 8 ჯ დ) 16 ჯ

8. მატარებელი 9 წამში 300 მეტრს გადის. რისი ტოლია მისი სიჩქარე?

- ა) 30კმ/სთ ბ) 33,3კმ/სთ გ) 60კმ/სთ დ) 120კმ/სთ

9. გაზომეს ოთხი სხვადასხვა სხეულის სიჩქარეები და იმპულსები. გაზომვის შედეგები მოცემულია გრაფიკზე წერტილების სახით. რომელ სხეულს აქვთ ერთნაირი მასები?




- ა) 1 და 2 ბ) 1 და 3
 გ) 1 და 4 დ) 2 და 3

10. სხეული, რომლის მასაა 1,6 კგ, ხოლო სიმკვრივე 4-ჯერ მეტია წყლის სიმკვრივეზე, ჩააგდეს ჭურჭელში, რომელიც პირამდე სავსეა წყლით. რა მასის წყალი გადმოიღვრება ჭურჭლიდან?

- ა) 0,4 კგ ბ) 0,8 კგ გ) 1,6 კგ დ) 3,2 კგ

11. კუბი ჩაძირულია სითხეში. სითხის ჰიდროსტატიკური წნევა კუბის ზედა წახნაგზე ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ქვედაზე. სითხის ზედაპირიდან რა სიღრმეზეა ჩაძირული კუბის ზედა წახნაგი, თუ კუბის წიბოს სიგრძეა L ?




- ა) $0,5L$ ბ) L გ) $1,5L$ დ) $2L$

12. რისი ტოლია 3ომი და 6ომი წინაღობის გამტარები პარალელურად შეერთების შედეგად მიღებული წინაღობა?

- ა) 0,5 ომი ბ) 2ომი ვ) 3ომი გ) 9 ომი

13. რისი ტოლია R წინაღობა ნახაზზე გამოსახულ წრედში?

- ა) 1 ომი ბ) 2 ომი გ) 4 ომი დ) 6 ომი




14. სინათლის წერტილოვანი წყარო მოძრაობს 3მ/წმ სიჩქარით უძრავი სარკისაკენ მისადმი მართობულად. რა სიჩქარით მოძრაობს მისი გამოსახულება სარკეში ამ სარკის მიმართ?

- ა) 3მ/წმ , წყაროს მოძრაობის მიმართულებით
 ბ) 6მ/წმ , წყაროს მოძრაობის მიმართულებით
 გ) 3მ/წმ , წყაროს მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით
 დ) 6მ/წმ , წყაროს მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით

15. ნახაზზე მოცემულია მერხევი სხეულის წონასწორობიდან გადახრის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. რისი ტოლია სხეულის რხევის სიხშირე?

- ა) 0,25 ჰც ბ) 0,5 ჰც გ) 2 ჰც დ) 4 ჰც



პასუხები:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა					X					X					X
ბ	X										X	X	X		
გ		X		X		X	X							X	
დ			X					X	X						